



გზავნილი თეატრის მსოფლიო დღისათვის, 2019

2019 წლის 27 მარტი

ქართული თარგმანი

კარლოს სელდრან, კუბა

ვიდრე თეატრში გამეღვიძებოდა, ჩემი მასწავლებლები უკვე იქ იყვნენ. მათ საკუთარი ცხოვრების ნარჩენებზე ააშენეს საცხოვრისები და პოეტური მიდგომები. უმრავლესობას არ იცნობთ, ისინი სიჩუმიდან, სარეპეტიციო ოთახების მოკრძალებასა, თუ გადაჭედულ თეატრებში მუშაობდნენ. მერე ნელ-ნელა, მათი საოცარი მიღწევების შემდეგ რომ წლები გავიდა, თავიანთ ადგილებს ჩამოშორდნენ და გაუჩინარდნენ. როდესაც მივხვდი, რომ ჩემი პირადი ბედისწერა მათი ნაკვალევის გაყოლა იყო, ასევე მივხვდი, რომ მემკვიდრეობით მერგო უნიკალური, ყოვლისმომცველი ტრადიცია, აწმყოში ისე ვიცხოვრო, რომ მხოლოდ განუმეორებელი წამის გამჭვირვალობის მიღწევა მინდოდეს; წამის, როდესაც თეატრის სიბნელეში შეხვდები სხვას და არაფერი გიცავს ჟესტისა და გამომსახველი სიტყვის სიმართლის გარდა.

ჩემი თეატრალური სამშობლო ის წუთია, როდესაც მაყურებელს ვხვდები, ყოველ საღამოს თეატრში რომ მოდის ჩემი ქალაქის სხვადასხვა კუთხიდან, რათა გამოგვეყვოს და გაიზიაროს რამდენიმე საათი და რამდენიმე წუთი. ჩემი ცხოვრება იმ უნიკალური წუთებისგან შედგება, როდესაც მე აღარ ვარ მე, როდესაც ჩემს გამო ვეწამები, როდესაც ხელახლა ვიბადები და ვიგებ თეატრალური პროფესიის

დედააზრს: უნდა იცხოვრო წმინდა ეფემერული სიმართლის ყოველი წამი, როდესაც ვიცით, რომ რასაც პროექტორებით განათებულნი ვამბობთ და ვაკეთებთ, მართალია და ასახავს ჩვენს ყველაზე ღრმა, ყველაზე პირად ნაწილს. თეატრალური სამშობლო ჩემი და ჩემი მსახიობებისთვის გახლავთ ქვეყანა, რომელიც ნაქარგია იმ წუთებით, როდესაც უკან ვიტოვებთ ნიღბებს, რიტორიკას, საკუთარი თავის შიშს და სრულ სიბნელეში მაგრად ჩავეჭიდებთ ერთმანეთის ხელებს.

თეატრალური ტრადიცია ჰორიზონტულია. ვერავინ ამტკიცებს, რომ თეატრი არსებობს მსოფლიოს ცენტრში, რომელიმე ქალაქსა, თუ გამორჩეულ შენობაში. თეატრი, როგორც მე მერგო, უხილავი გეოგრაფიის მიხედვით ვრცელდება და თეატრის მკეთებლებისა და თეატრალური ნივთების ცხოვრებას ერთმანეთში ხელის ერთი მოსმით ურევს. თეატრალური ხელოვნება გამაერთიანებელი ჟესტია. თეატრის მეტრებს საფლავში მიაქვთ თავიანთი განუმეორებელი სინათლის, გამჭრიახობისა და სილამაზის წამები, ერთნაირად ქრებიან ყოველგვარი დაცვისა და დიდების გარეშე. თეატრის მანქანებმა იციან, რომ არავითარი დიდება არ არის ღირებული იმ ჭეშმარიტების გარეშე, რომელიც ჩვენი ხელობის ფესვებს წარმოადგენს: მერყევ გარემოში შექმნა სიმართლის, ორაზროვნების, სიძლიერის, თავისუფლების წუთები. არაფერი გადარჩება ინფორმაციისა და ფოტო და ვიდეო მასალის გარდა, რომელიც მხოლოდ ფერმკრთალ წარმოდგენას შექმნის იმის შესახებ, რაც იყო. ამ ჩანაწერებს დააკლდება მაყურებლის უსიტყვო პასუხი და მყისიერი აღქმა, რომ რასაც ისინი თვალს ადევნებენ, არ შეიძლება თარგმნო ან თეატრის გარეთ მოიძიო; რომ ჭეშმარიტება, რომელსაც ისინი რამდენიმე წამით ეზიარნენ, ცხოვრების გამოცდილებაა, უფრო გამჭვირვალე, ვიდრე თავად ცხოვრება.

როდესაც მივხვდი, რომ თეატრი თავად არის ქვეყანა, უზარმაზარი ტერიტორია, რომელიც მთელ მსოფლიოს ფარავს, ჩემში რწმენამ დაისადგურა, რაც უკვე თავისუფლების გააზრება იყო: შორს წასვლა არ გჭირდება, არ გჭირდება

მოსცილდე იმ ადგილს, სადაც ხარ, არ გჭირდება გაქცევა ან გადაადგილება. მაყურებელი იქაა, სადაც შენ ხარ. კოლეგებიც გვერდით გყავს. და შემდეგ აი, ამ მოჩვენებით უძრაობაში მუშაობ, რათა შექმნა ყველაზე დიდი მოგზაურობა, გაიმეორო ოდისეა, არგონავტების მგზავრობა. უძრავი მოგზაური ხარ, რომელიც არ ცდილობს რეალური სამყაროს სიმკვრივისა და სიხისტის აჩქარებას. შენი მოგზაურობა წამებისკენაა, შენიანებთან განუმეორებელი შეხვედრისაკენ. შენ მათში მოგზაურობ, მათ ემოციებსა და მოგონებებში, რომელთაც აღვიძებ და ამოძრავებ. ეს მოგზაურობა თავბრუდამხვევია და არავის შეუძლია მისი გაზომვა და დახშობა. ვერავინ შეიცნობს მას საკმარისად. ეს მოგზაურობა შენი ხალხის ფანტაზიაზე გადის და იმ მარცვალზე, რომელიც შორეულ ქვეყნებში დაინერგა: შენი მაყურებლის ცივილურ, ეთნიკურ და ჰუმანურ ცნობიერებაში. ამის გამო ადგილიდან არ ვიძვრი, სახლში ვრჩები, ჩემი ახლობლების გარემოცვაში, მოჩვენებით უძრაობაში და დღე და ღამ ვმუშაობ, ვინაიდან სიჩქარის საიდუმლო ამოვხსენი.

თარგმნა ნატალია თვალჭრელიძემ

Traduit par Nathalie Tvalchrelidzé